პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 169 (4679)

1972 წ. 29 აგვისტო, სამშაბათი.

ფასი 4 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1954 წლის 18 აპრილიდან

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

მიუნპენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

პირველ წრეში ყველა საბჭოთა ათლეტმა იმარჯვა

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირის დაწყებამდე მძიმეწონასანთა ცენტრალურ შეხვედრად მიჩნეული იყო ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიადების ჩემპიონის, მინსკელი მასწავლებლის ა. მედვედის ჭიდილი „შთა" ადამიანთან — ამერიკელ კ. ტეილორთან. იგი ოლიმპიადის ყველაზე მძიმე წონის მონაწილეა. ახალგაზრდა სპორტსმენი შეხვედრიდან შეხვედრამდე იმაღლებს ოსტატობას, მაგრამ თავის მეტოქეებს ძირითადად წონით (170-დან 185 კილოგრამამდე) უმკლავდება. და აი, კენჭისყრამ პირველივე წრეში ეს ორი ფავორიტი შეაბვედრა ერთმანეთს.

6 წუთის მანძილზე მოჭიდავეები ამაოდ ცდილობდნენ თუნდაც ერთი ილეთის ჩატარებას. ორივეს კარგად ესმოდა, რომ ერთქულიანი უპირატესობა ამ მძიმე ბრძოლაში გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა. მე-8 წუთზე თაკი იჩინა მედვედის გამოცდილებამ. მან მეტოქე უმნიშვნელო შეცდომაზე დაიჭირა და ჩოქბჯენში გადაიყვანა. უპირატესობის შენარჩუნება საბჭოთა სპორტსმენს მაინცდამაინც არ გასჭირვებია.

პირველი წრე საბჭოთა მოჭიდავეებმა წარმატებით გაიარეს: იაკუტმა რ. დმიტრიევმა წმინდად დაამარცხა ინდოელი ა. მარუტი. ი. იარიგინმა 27 წამში მოუგო შვეიცარიელ ბ. იუტცელერს.

აშკარა უპირატესობით დაამარცხეს: გ. სტრახოვმა შვედი რ. ანდერსონი, ზ. აბდულბეკოვმა კი შვეიცარიელი ტანერი.

ი. კულეშოვმა ქულებით მოუგო ხოილოგდორჟს (მონგოლეთი), ა. ალახვერდიევმა კი არეფს (ავღანეთი). ქულებით გაიმარჯვა ი. გუსოვმაც.

დიდი უპირატესობით მიაღწია გამარჯვებას ლ. თედიაშვილმა.

ამ სურათზე აღბეჭდილია XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მონაწილეები, აღლუმის ერთი მონაკვეთი. მოდიან საბჭოთა სპორტსმენები. ხელმძღვანელობს ქვეყნის აღლუმი მოაქვს ა. მედვედევს. ბანერს — ბილეტიორი ტანვოვარჯიშე ნ. დრონოვი.

მეცხრამეტე კარტია

სპასკი — ფიშერი

ალიოხინის დაცვა

1. e4 ₥f6 2. e5 ₥d5 3. d4 d6 4. ₥f3 ♗g4 5. ♗e2 e6 6. 0—0 ♘e7 7. h3 ♗h5 8. c4 ₥h6 9. ₥c3 0—0 10. ♗e3 d5 11. c5 ♗:f3 12. ♗:f3 ₥c4 13. b3 ₥:e3 14. fe b6 15. e4 c6 16. b4 bc 17. bc ♖a5 18. ₥:d5 ♗g5 19. ♗h5 cd 20. ♗:f7+ ♔:f7 21. ♔:f7 ♖d2 22. ♖:d2 ♗:d2 23. ♖af1 ₥c6 24. ed ed 25. ♕d7 ♗e3+ 26. ₥:h1 ♗:d4 27. e6 ♗e5 28. ♕:d5 ♕e8 29. ♕e1 ♔:e6 30. ♕d6 ₥:f7 31. ♔:c6 ♔:c6 32. ♔:e5 ₥:f6 33. ♕d5 ₥:e6 34. ♕h5 h6 35. ₥:h2 ♕a6 36. c6 ♔:c6 37. ♕a5 a6 38. ₥:g3 ₥:f6 39. ₥:f3 ♔c3+. ყაიმი.

* * *

XIX პარტიაში ფიშერმა ალიოხინის დაცვა აირჩია. ეს უკვე მეორედ მოხდა მატჩში. მაგრამ ამჯერად ამერიკელმა დიდოსტატმა კარგად ცნობილ სისტემას მიმართა. მე-9 სვლაზე სპასკიმ გვერდი აუარა გატკეპნილ გზას. ფიშერი ვალში არ დარჩა. მან ცენტრი ჩაკეტა, მაგრამ თამაში მაინც ვერ გაათანაბრა.

მე-18 სვლაზე სპასკიმ მეტოქეს მხედარი „შესთავაზა". ფიშერი დიდი ხნით ჩაფიქრდა და „საჩუქარზე" უარი თქვა. მერე სპასკიმ კომბინაცია გაგრძელა. მაშინ ფიშერმა გამოწვევა მიიღო და ეტლსა და პაიკში ორი ფიგურა მოიგო, მაგრამ ინიციატივა კვლავ სპასკის მხარეზე იყო. ამიტომ ფიშერმა ლაზიერების გაცვლა გამოიწვია და სპასკის მხოლოდ უკეთესი ენდშპილი დარჩა.

როგორც ჩანს, ამ ენდშპილის მოგება შეუძლებელი იყო. ამიტომ სპასკიმ უკან დააბრუნა მატერიალური ნადავლი და ზედმეტპაიკიანი ეტლების ენდშპილში გადავიდა, მაგრამ ამ პაიკის რეალიზებაც შეუძლებელი აღმოჩნდა: ფიშერი ზუსტად თამაშობდა.

მე-40 სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 11:8 ფიშერის სასარგებლოდ. დარჩენილ ხუთ პარტიაში ფიშერს მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად 1,5 ქულა სჭირდება, სპასკის კი ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად — 4 ქულა.

დღეს, 29 აგვისტოს, უნდა გაიმართოს მეოცე პარტია. თეთრებით ფიშერი ითამაშებს.

მსოფლიო რეკორდით დამშვენებული ოქროს მედალი

მიუნპენი, 28 აგვისტო. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლი ხო ჯუნმა ყველას აჯობა მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე 60 გასროლაში და ოქროს მედალთან ერთად მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების რეკორდსმენის სახელიც მოიხვეჭა. გამარჯვებულის შედეგი 599 ქულა!

საბჭოთა მსროლელებმა ამ ვარჯიშში უხეიროდ იასპარეზეს: ვ. პარხიმოვიჩმა მე-17 ადგილი დაიკავა (594 ქულა), ხოლო ვ. კორნეევმა — 33-ე (592).



მიუნპენი — XX თამაშების დედაქალაქი.

ს. სმირნოვის ფოტო („იზვესტია").

სსრ კავშირი — იაპონია 11:1

მიუნპენი, 28 აგვისტო. იტალიის წყალბურთელთა ძლიერ კოლექტივთან გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ნაკრებმა თავის ქვეჯგუფში ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის მეორე მატჩში იოლად სძლია იაპონიის გუნდს — 11:1 (1:0, 4:1, 3:0, 3:0).

მეორე მოგება

მიუნპენი, 28 აგვისტო. სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა დღეს აქ გამართულ თავის მეორე შესარჩევ მატჩში ანგარიშით 87:63 (41:33) დაამარცხა გფრ-ის ეროვნული გუნდი.

რეპორტაჟს გადმოსცემს სახალხო არტისტი...

თბილისიდან საფეხბურთო მატჩის სატელევიზიო ან რადიოგადაცემის დამთავრების შემდეგ ხშირად გვიგონია ნაცნობი სიტყვები: „რეპორტაჟს გადმოსცემდა კოტე მახარაძე". ფეხბურთის მოყვარულებს მოსწონთ ეს ტემპერამენტული, საინტერესო დეტალებით აღსავსე რეპორტაჟები.

ამას წინათ კოტემ მოსკოვის ლუჟნიკის სტადიონზე მიკროფონთან ვალტარა ცსკა-სა და „ზარიას" ფეხბურთელთა მატჩის მეორე ტაიმი და რეპორტაჟის დამთავრებისთანავე მიაშურა... მცირე თეატრს, სადაც სპექტაკლი იყო დანიშნული.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ამჟამად მოსკოვში გასტროლებზე თავის კოლეგებთან — საქართველოს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებთან ერთად.

კოტე მახარაძეს სასტუმრო „უკრაინის" ერთ-ერთ ნომერში შევხვდით.

— იცნობდეთ, ჩემი ვაჟია, ივიკო — რუსულად ივანე, — წარმომიდგინა კოტემ ჭეშმარიტად „საკალათბურთო სიმაღლის" ყმაწვილი.

კოტე აღმოსავლურად სტუმართმოყვარე და გონებამახვილი კაცია. მე ვთხოვე ეამბნა თავის თავზე, თეატრზე, თავის მეორე პროფესიაზე — რადიოდა ტელეკომენტატორის პროფესიაზე.

— დრამატულ თეატრში მივედი... თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, — ამბობს კოტე. — ბედის უმადური არა ვარ, ასეთი შფოთიანი და რთული პროფესია რომ ავირჩიე. ბევრი როლი მითამაშია, ახლა კი უსაზღვროდ ბედნიერი ვარ: ურიელ აკოსტას მთავარი როლი მომანდეს სპექტაკლში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ აღდგა ჩვენს სცენაზე. იგი პირველად დადგა თეატრის ფუძემდებელმა, რომლის სახელსაც ეს თეატრი უკვე 44 წელია ატარებს.

რაც შეეხება მიკროფონს, აქ ყველაფერი ერთმა შემთხვევამ გადაწყვიტა: ახალგაზრდობაში საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდის კაპიტანი ვიყავი. სწორედ ეს გაახსენდათ, როცა 1957 წელს თბილისში ამერიკის შეერთებული შტატებიდან კალათბურთელთა ნაკრები ჩამოვიდა. დამავალეს რადიოთი გადამეცა საქართველოსა და ამერიკის ნაკრები გუნდების მატჩის რეპორტაჟი. მე კარგად მახსოვდა ჯადიმ სინიავსკის ნათქვამი, რომ კალათბურთი რადიორეპორტაჟისთვის ძალიან რთული სახეობაა და ამ წინადადებაზე უარი ვთქვი. მაგრამ ბოლოს მაინც დამითანხმეს.

საკავშირო რადიოშიც ასევე მოულოდნელად მოვხვდი. ტაშკენტიდან ვართულად გადავცემდი „ფასთაქორცსა" და თბილისის „დინამოს" მატჩის რეპორტაჟს. შესვენებისას ტელეფონთან მოსკოვმა გამომიძახა. ნიკოლაზ ოზეროვმა მითხრა: „სინიავსკი ავად გახდა, ეკვიშველე, გადმოეცი ბოლო 15 წუთი პირველი პროგრამით, რუსულად, რა თქმა უნდა".

ძალიან ვღელავდი. საათის მეოთხედი საუკუნედ მეჩვენა. მაგრამ ყველაფერი წმიდობიანად დამთავრდა.

ახლა, როცა უკვე მუდმივი რადიოტელეკომენტატორი ვარ, მადლობას ვწირავ არა მარტო შემთხვევას, არამედ თეატრსაც, რომელიც მიკროფონთან ნუშაობაში დიდად მეხმარება.

ბ. პისკარიოვი,
სპორტის ოსტატი.

„ვეჩერნიაია მოსკვა", № 173 (14826).

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის მივლინებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ცნობილი სპორტული კომენტატორი კ. მახარაძე ახლა მიუნჰენშია — XX ოლიმპიურ თამაშებზე, საიდანაც ჭიდაობაში და ზოგიერთ სხვა სახეობაში შეჯიბრებების მსვლელობას გადმოსცემს.

ჩატარდება სატელევიზიო ტურნირი

სპორტის შემდგომი პროპაგანდისთვის, რესპუბლიკის მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის „მზად ვარ შრომისა და სხრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს სხრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა გადაწყვიტა 1972 წლის ოქტომბრიდან მოაწყოს სატელევიზიო სპორტული ტურნირი რესპუბლიკის ქალაქებს, რაიონებს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქს შორის.

კომიტეტმა დაადგინა დამტკიცდეს სცენარების პროექტები, რომელთაც წარმოადგენენ საქართველოს სხრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის სპორტული განყოფილება და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.

დამტკიცდა სატელევიზიო ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი და ჟიური შემდეგი შემადგენლობით: გ. სიხარულიძე (თავმჯდომარე), ნ. ფოფხაძე, ვ. ბალავაძე, გ. ჭელიძე (მოადგილეები), ბ. პაიჭაძე, რ. შავლაყაძე, გ. ბაბილოძე, ა. ციბაძე, ს. ჭაიანი, დ. კაპცოვი, გ. ბაჩეჩილაძე.

„სკ“-ს ფურცლების საკითხებზე

ჩვენი გაზეთის 9 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „ასპარეზობის ნაცვლად... მილიციაში“. ამ წერილში ლაპარაკი იყო საქართველოს წყალში მხტომელთა გუნდის უფროსი მწვრთნელის ბ. პოლულიახის, აგრეთვე, რ. არუთინოვის, ბ. პლევაკოს, ი. ფირალიშვილის ხულიგნურ საქციელზე. მათ საქართველოს გუნდი წახკაძორში მიჰყავდათ (იქ ტარდებოდა მოზარდთა საკავშირო პირველობა წყალში ხტომაში) და მგზავრობის დროს მატარებელში დებოში ატეხეს.

საქართველოს სხრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხზე და გამოიტანა დადგენილება, რომელსაც ქვევით ვბეჭდავთ.

დამნაშავენი დაისაჯნენ

21-25 ივნისს დაბა წახკაძორში, სხრ კავშირის სპორტკომიტეტის ბაზაზე, ჩატარდა საბჭოთა ქვეყნის პირველობა წყალში მხტომელ ჭაბუკთა და გოგონათა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ნაკრებმაც 5 სპორტსმენის შემადგენლობით. გუნდის მწვრთნელი-ხელმძღვანელები იყვნენ უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლის მუშაკი ბ. პოლულიახი და ბ. პლევაკო, რომელიც მუშაობს „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოში და საქართველოს სხრ განათლების სამინისტროს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლაში.

თბილისიდან გასვლის შემდეგ ზემოაღნიშნულმა მწვრთნელებმა, აგრეთვე, „განთიადის“ მწვრთნელმა რ. არუთინოვმა და ერთ-ერთი სპორტსმენის მშობელმა — საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკმა ი. ფირალიშვილმა, რომლებიც თავისი სურვილით წაჰყვნენ გუნდს, ვაგონ-ბუფეტში მთვრალებმა დებოში ატეხეს, რასაც მოჰყვა ჩხუბი სამხედრო მოსამსახურეებთან. ამისთვის ისინი მატარებლიდან ჩამოსვეს, ბ. პოლულიახი, ბ. პლევაკო და რ. არუთინოვი დააპატიმრეს.

ი. ფირალიშვილს უწინაც დამართია მსგავსი ამბავი, მაგრამ დანაშაული ახლაც გაიმეორა.

ითვალისწინებს რა, რომ სპორტის მუშაკების ეს ამორალური საქციელი არ შეეფერება საბჭოთა აღმზრდელ-პედაგოგის მაღალ მოწოდებას, რომ ისინი წარსულშიც ყოფილან შენიშნული დისციპლინის დარღვევაში, საქართველოს სხრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა გადაწყვიტა დაკმაყოფილოს წყალში ხტომის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის შუამდგომლობა სამსახურიდან მწვრთნელების ბ. პოლულიახის, ბ. პლევაკოს, რ. არუთინოვის მოხსნის შესახებ და აეკრძალოთ მათ შემდგომი მუშაობა სპორტის სფეროში;

ი. ფირალიშვილი გათავისუფლდეს თავისი თანამდებობიდან და გამოყვანილი იქნეს წყალში ხტომის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან;

წყალში ხტომის რესპუბლიკურმა ფედერაციამ და სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ნ. მუსასტიკოვმა (მასაც დაედო სასჯელი) მიიღონ ქმედითი ზომები სპორტის ამ სახეობაში საჭირო წესრიგის დასამყარებლად, მწვრთნელთა და სპორტსმენთა შორის აუცილებელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაშლელად.

ჭადრაკსა და შაშში

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება ათ დღეს მასპინძლობდა მოლდავეთის უსინათლოთა საზოგადოების სპორტულ დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც ოთხი მოჭადრაკე და ამდენივე მოშაშე შედიოდა.

გაიმართა ოთხწრიანი სამატჩო შეხვედრები. პირველ დღეს ჩვენი მოჭადრაკეები დამარცხდნენ (0,5:3,5), მაგრამ მერე სამი მატჩი მოიგეს ერთნაირი ანგარიშით — 2,5:1,5. საერთო ჯამში შეხვედრა ყაიმით (8:8) დამთავრდა.

ჩვენმა მოშაშეებმა მატჩი წააგეს — 7,5:8,5.

მოჭადრაკეთა შორის ყველაზე კარგად ითამაშა ნ. მირონოვმა (საქართველო)—3,5 ქულა 4-დან, მოშაშეებს შორის კი სტუმრებმა ა. სარმინმა და ვ. აკსენტიევმა — 2,5-2,5 ქულა.

მ. რამიშვილი,
შეჯიბრების მსაჯი.



ველოფათერაკები. მ. ზარგარიანის ფოტოები.

„სპორტლოტოს“ პრიზზე

კვირას თბილისის იპოდრომზე მოეწყო ტრადიციული პრიზების მორიგი გათამაშება წმინდასისხლიანი ჯიშის ჩოროთმავალი და საჯდომი ცხენებისთვის. იმ დღეს ცხენოსნები იბრძოდნენ გაზეთ „სოფლის ცხოვრების“, მეშახტის დღის, კიევისა და პიატიგორსკის იპოდრომების, „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს პრიზებისთვის.

ჩოროთმავალი ცხენებით გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ პრიზი დაისაკუთრა საბჭოთა მეურნეობა „სამარსკის“ მხედარმა ე. ლიხობაბამ.

პიატიგორსკის იპოდრომის პრიზის გათამაშებაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ყულარის ცხენსაშენის მხედარმა ს. ემინოვმა პიტნარით. მას ავარჯიშებს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი, ოსტატი-მწვრთნელი გ. ქიქავა.

დიდი წარმატება მოიპოვა ონუფრიევკის ცხენსაშენის წარმომადგენელმა პ. ზაბლოცკიმ, რომელმაც ხუთივე დღე მოიგო. სწორედ მას გადაეცა „სპორტლოტოს“ პრიზზე შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის სამახსოვრო ვიმპელი და დიპლომი.

— „სპორტლოტო“ საინტერესო თამაშია და ყველა სპორტსმენს მოსწონს, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს პ. ზაბლოცკიმ, — მართალია, დიდი თანხა ჯერ არ მომიგია, მაგრამ არც წაგებული ვარ: ლატარიის შემოსავალი ხომ ახალი ბაზების მშენებლობას ხმარდება.

10 სექტემბერს თბილისის იპოდრომზე წლევანდელი სეზონის ყველაზე დიდი პრიზების გათამაშება მოეწყობა.

ც. ფცქიალაძე.

„სკ“-ს ფურცლიდან

რეკორდი გაუქმდა

„სპორტლოტოს“ რეკორდმა, რომელიც კიეველ მასწავლებელ ქალს ლ. მელნიჩენკოს ეკუთვნოდა (10926 მან.), ერთ წელიწადზე ცოტა მეტ ხანს იარსება: 10 ივლისს კიშინიოვში ჩატარდა მე-19 ტირაჟი, სადაც ქარხანა „კრასნი ვიბორ-ჟნიკ“ ოსტატმა ი. ხმელიოვმა ხუთ ბარათზე ხუთ-ხუთი სახეობა ამოიცნო და 15600 მანეთი მიიღო.

„სპორტლოტოს“ 23-ე ტირაჟი იღბლიანი აღმოჩნდა საქართველოს მცხოვრებლებისთვის. 6535 კაცმა სამ-სამი სახეობა ამოიცნო (3-3 მანეთი). 371 კაცი 30-30 მანეთს მიიღებს. სამმა კაცმა 5-5 სახეობა ამოიცნო და თითოეულ მათგანს 927 მანეთი მოგება ელის.

მორიგი 24-ე ტირაჟი ყარაგანდაში მოეწყობა 30 აგვისტოს.

ი. ლოპატკინი,
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

სხრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ქუთაისელთა გამარჯვება სვუმრად

I ლიგა

26 აგვისტოს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:0, „დინამო“ (სოხუმი) — „დილა“ (გორი) 1:0, „დინამო“ (ბრიანსკი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 1:2, „ზვეზდა“ (ტირასპოლი) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 0:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) 4:0, „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) — „სალუტი“ (ბელგოროდი) 2:2, „სპარტაკი“ (ორიოლი) — „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლსკი) 1:1.

II ლიგა III ზონა

ბოლონია, 27 აგვისტო. კიევის „დინამომ“ ამხანაგური საერთაშორისო მატჩში დაამარცხა „ბოლონია“ — 2:1.

ანგარიში 29-ე წუთზე გახსნა იტალიელმა ლანჩინიმ, მაგრამ შემდეგ მასპინძლებმა ვერ გაუძღვეს კიეველთა მიერ შემოთავაზებულ ტემპს, ეს პირველ ყოვლისა იმით უნდა აიხსნას, რომ ამ ქვეყანაში საფეხბურთო სეზონი მხოლოდ სექტემბერში იწყება და ახლა ფეხბურთელები ძალიან შორს არიან თავიანთი საუკეთესო სპორტული ფორმისგან.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა კიდევ უფრო მწვავე იერიშები განახორციელეს: ჯერ იყო და ტაიმის დასაწყისშივე მუნტიანმა ანგარიში გაათანაბრა, მერე კი, მე-18 წუთზე, მანვე თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

გალტიმორი (აშშ), 27 აგვისტო. მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა აქ ფრედ ითამაშა ადგილობრივ „ბეიზთან“ — 3:3.

27 აგვისტოს გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელებმა ლენინგრადში სძლიეს ადგილობრივ „დინამოს“ — 1:0.

ოდესაში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — ადგილობრივი „ჩერნომორეცი“ და ტაშკენტის „ფახთაქორი“. გამარჯვება ხვდათ ოდესელ ფეხბურთელებს — 3:1.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 0:0, „კრივბასი“ (კრივოი როგი) — „პამირი“ (დუშანბე) 0:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ალგა“ (ფრუნზე) 2:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 2:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 5:1, „ზვეზდა“ (პერმი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:0, „შახტიორი“ (დონეცკი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფახთაქორი“	26	17	5	4	46—19	39
„ჩერნომორ.“	25	14	7	4	48—23	35
„ზვეზდა“	26	12	8	6	31—25	32
„შახტ.“ (დ.)	25	10	11	4	31—13	31
„შინიკი“	25	12	7	6	27—19	31
„ტორპედო“	25	13	4	8	34—19	30
„პამირი“	26	10	9	7	33—33	29
„კრ. სოვეტ.“	26	6	15	5	26—25	27
„სპარტაკი“	25	9	8	8	28—28	26
„ალგა“	26	7	11	8	27—21	25
„მეტალისტ.“	25	7	9	9	24—27	23
„შახტ.“ (ყ.)	26	7	9	10	27—36	23
„ნისტრუ“	25	7	8	10	26—27	22
„ავტომობ.“	25	6	10	9	20—27	22
„ტექსტილ.“	25	7	8	10	24—36	22
„სტროიტ.“	26	7	8	11	24—40	22
„მეტალურ.“	25	7	6	12	31—34	20
„დინამო“	25	5	9	11	18—31	19
„კრივბასი“	25	4	8	13	29—47	16
„ურალმაში“	26	3	8	15	19—43	14

საბჭოთა გუნდები უცხოეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

München-72

ოლიმპიელებმა სტარტი აიღეს

ქვირა, 27 აგვისტო, ოლიმპიადის პირველი სამუშაო დღე იყო. სპორტის საერთაშორისო დღესასწაულს დილიდანვე უამრავი მაყურებელი ჰყავდა. ტრიბუნების ინტერესი დაძაბულობას მატებდა შეჯიბრებას და ზოგჯერ სპორტსმენთა დაფარულ შესაძლებლობათა გამოვლენასაც უწყობდა ხელს...

ყველაზე პირველად ბრძოლაში ტანმოვარჯიშე ქალები ჩაებნენ, შემდეგ ხუთჭიდელები, ნიჩბოსნები, მსროლელები და კალათბურთელები, ცოტა უფრო გვიან — თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, ფრენბურთელები, კალათბურთელები, მოკრივეები, წყალში მხტომელები, ძალოსნები, წყალბურთელები, ბალახის ჰოკეისა და ტყავის ბურთის ოსტატები.

სენსაცია პირველივე სტარტებს მოჰყვა. სამი საათიც არ იყო გასული ოლიმპიურ ტირში შეჯიბრების დაწყებიდან, რომ XX ოლიმპიადის პირველი ჩემპიონი უკვე გამოვლინდა. ეს გახლავთ მაღალი, ხმელ-ხმელი შვედი, ქალაქ ენგელფოლმის მკვიდრი, ბენზინის ჩამსხმელი რაგნარ სკანკაერი, რომელმაც ნებისმიერი პისტოლეტით სროლაში ყველას აჯობა. 38 წლის ჩემპიონი აშკარად დაბნეული იდგა რეპორტიორთა წინაშე: მან პირველად მიაღწია ასეთ დიდ წარმატებას. ასპარეზობის დაწყების წინ შვეიცის ორგზის ჩემპიონს ფავორიტთა შორის არავინ ასახელებდა. საქმეში ჩახედული ხალხიც კი გადაჭრით ვერაფერს ამბობდა.

√ დღეს

კალათბურთი (წინასწარი მატჩები).

კრივი (წინასწარი შეხვედრები. პირველი წრე).

კლასიკური ჭიდაობა (შესარჩევი შეხვედრები).

ველოსპორტი (გუნდური საგზატკეცილო რბოლა)*.

ფრენბურთი (წინასწარი მატჩები).

ტანვარჯიში (გუნდური პირველობა. ნებისმიერი პროგრამა — ვაუები)*.

ცხენოსნობა (სამჭიდი. სამანეყო სვლა).

აფროსნობა (პირველი რბოლა).

ცურვა (ფინალები: ქალები — 100 მ — თავისუფალი სტილი, 200 მ — ბრასი; ვაუები — 100 მ — გულაღმა, 200 მ—თავისუფალი სტილი)*.

წყალში ხტომა (წინასწარი შეჯიბრება. ტრამპლინი — ვაუები).

წყალბურთი (წინასწარი მატჩები).

თანამედროვე ხუთჭიდი (სროლა).

სასტენდო სროლა (ადგილიდან. მესამე დღე)*.

ძალოსნობა (ქვემსუბუქი წონა)*.

ფარიკაობა (პირადი შეჯიბრება. ვაუები — რაპირა. წინასწარი შეხვედრები).

ფეხბურთი (წინასწარი მატჩები).

ბალახის ჰოკეი (წინასწარი მატჩები).

აკადემიური ნიჩბოსნობა (სანუგეშო შეჯიბრება).

გათამაშდება 8 ოქროს მედალი (იხ. ვარსკვლავით აღნიშნული სახეობები).

ოლიმპიელებმა სტარტი აიღეს

ქვირა, 27 აგვისტო, ოლიმპიადის პირველი სამუშაო დღე იყო. სპორტის საერთაშორისო დღესასწაულს დილიდანვე უამრავი მაყურებელი ჰყავდა. ტრიბუნების ინტერესი დაძაბულობას მატებდა შეჯიბრებას და ზოგჯერ სპორტსმენთა დაფარულ შესაძლებლობათა გამოვლენასაც უწყობდა ხელს...

ყველაზე პირველად ბრძოლაში ტანმოვარჯიშე ქალები ჩაებნენ, შემდეგ ხუთჭიდელები, ნიჩბოსნები, მსროლელები და კალათბურთელები, ცოტა უფრო გვიან — თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, ფრენბურთელები, კალათბურთელები, მოკრივეები, წყალში მხტომელები, ძალოსნები, წყალბურთელები, ბალახის ჰოკეისა და ტყავის ბურთის ოსტატები.

სენსაცია პირველივე სტარტებს მოჰყვა. სამი საათიც არ იყო გასული ოლიმპიურ ტირში შეჯიბრების დაწყებიდან, რომ XX ოლიმპიადის პირველი ჩემპიონი უკვე გამოვლინდა. ეს გახლავთ მაღალი, ხმელ-ხმელი შვედი, ქალაქ ენგელფოლმის მკვიდრი, ბენზინის ჩამსხმელი რაგნარ სკანკაერი, რომელმაც ნებისმიერი პისტოლეტით სროლაში ყველას აჯობა. 38 წლის ჩემპიონი აშკარად დაბნეული იდგა რეპორტიორთა წინაშე: მან პირველად მიაღწია ასეთ დიდ წარმატებას. ასპარეზობის დაწყების წინ შვეიცის ორგზის ჩემპიონს ფავორიტთა შორის არავინ ასახელებდა. საქმეში ჩახედული ხალხიც კი გადაჭრით ვერაფერს ამბობდა.

მხოლოდ ფირმა „სიმენსის“ ყოვლისმცოდნე კომპიუტერმა დაკმაყოფილა ოდნავ საყოველთაო ინტერესი...

თუმცა სასროლეთზე „ტრე კრუნურის“ გუნდის წარმომადგენლის გამარჯვება სენსაციად მიიჩნიეს, მისი შედეგი მოწმობდა, რომ წარმატება შემთხვევითი არ იყო. სკანკაერმა დაამყარა ოლიმპიური რეკორდი — 567 ქულა (600-დან), რომელიც მხოლოდ 5 ქულით ჩამოუვარდება მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონის, მოსკოველი გ. კოსიხის მსოფლიო რეკორდს.

რაც შეეხება მოსკოველ მსროლელს, იგი ტირიდან გასვლის დროს დანანებით აქნევდა თავს. ცუდმა დასაწყისმა (92 ქულა) კოსიხს გული ვერ გაუტეხა, რადგან სტარტზე იგი საერთოდ არ გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით. მაგრამ საქმე არც შემდეგში გამოსწორებულა. ამასთან, პისტოლეტს ზამბარა გაუწყდა. კოსიხი ბოლთას სცემდა ტირის შესასვლელში და ელოდა, როდის გაუკეთებდნენ იარაღს. შეიძლება ამიტომაც მოხდა, რომ ბოლო სერია მან მხოლოდ „რვიანით“ და „შვიდიანით“ დაამთავრა და საბოლოო ჯამში VIII ადგილი ხვდა (555 ქულა).

ლენინგრადელი ვ. სტოლიპინი 550 ქულით მე-17 იყო.

ვერცხლის მედალი ხვდა რუმინელ დ. იუგას (562), ბრინჯაოსი — ავსტრიელ რ. დოლინგერს (560).

მოკლე უვერტიურა

27 აგვისტოს დილას სსრ კავშირისა და ტუნისის გუნდების მატჩით გაიხსნა ოლიმპიადის ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირი. შეხვედრის ბედი ერთ საათში გადაწყდა. გაიმარჯვეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:0 (15:10, 15:6, 15:4).

შეხვედრა ჩატარდა დარბაზში, რომელიც იქვე, ოლიმპიური სოფლის გვერდით მდებარეობს. საბჭოთა გუნდი უძლიერესი შემადგენლობით არ გამოსულა. თამაშობდნენ პატკინი, დომანი, ზაიკო, საპრიკინი, სტარუსკი და ბორშჩი. მეორე და მესამე პარტიებში მოედანზე გამოვიდნენ ჩულაკი, კონდრა და პუტიატოვი (ისევნებდნენ პოიარკოვი, კრავჩენკო და ლაპინსკი). თუმცა შეხვედრის შედეგი წინასწარვე უშეცდომოდ შეიძლებოდა გამოგვეცნო, ფრენბურთის სტანდარტებისთვის ტანმორჩილი, მაგრამ ძალიან მოძრავი და აზარტული ტუნისელები მაყურებელთა მხურვალე ტაშის თანხლებით ზედიზედ იღებდნენ „მკვდარ“ ბურთებს, მრავალფეროვნად უტევდნენ, მშვენივრად იყენებდნენ მაცდურ დარტყმებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავდამსხმელები ჰაიდი, ლამუჩი და გუნდის ყველაზე მაღალი მოთამაშე ბ. მესაუდი (188 სმ).

მაგრამ ტუნისელებმა მხოლოდ პარტიის დასაწყისში შეძლეს ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა და დაწინაურებაც. შემდეგ საბჭოთა ნაკრების თამაშის კლასის უპირატესობა აშკარა იყო, განსაკუთრებით, ბლოკის სიმტკიცესა და დარტყმის ძალაში, აგრეთვე, ფიზიკურ მომზადებაში.

გამარჯვებით დაწყება სასიამოვნოა, მაგრამ მთავარ კოზირებს საბჭოთა სპორტსმენები ქვეჯგუფში გადამწყვეტი შეხვედრებისთვის ინახავენ — ბულგარეთის (31 აგვისტო), ჩეხოსლოვაკიის (2 სექტემბერი) და პოლონეთის (5 სექტემბერი) გუნდებთან.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა პოლონელებს სძლია — 3:0.

გვიან საღამოს საბჭოთა ფრენბურთელი ქალები სამხრეთ კორეის გუნდს შეხვდნენ და გაიმარჯვეს — 3:1 (11:15, 15:8, 15:7, 15:7).

ნახევარფინალის საგზურებისთვის

—ამბობენ, ოლიმპიადის სარბიელზე სუსტი მეტოქე არ არსებობსო, — ღიმილით თქვა აკადემიური ნიჩბოსნობის შესანიშნავმა ოსტატმა ი. მალიშევმა. — აი, ახლა გავარკვევთ, ვინ მზად არის და ვინ არა.

მოსკოველ სტუდენტს ერთეულთა წინასწარ რბოლაში ფინალის ღირსი მეტოქეები შესვდა: ამერიკელი ჯ. დიტტი, ი. ხელებრანდი (ჩეხოსლოვაკია) და გდრ-ის წარმომადგენელი ვ. გიულდენპფენიგი.

მალიშევი პირველი იყო 500, 1000 და 1500 მეტრზე, ფინიშთან იგი უახლოეს მეტოქეს თითქმის კორპუსნახევრით უგებდა. ამას უნდა დავუმატოთ, რომ დღევანდელი სერიების უმეტესობაში გამარჯვებას ნახევარფინალის საგზური მოჰქონდა და სანუგეშო სერიების საჭიროებაც აღარ იყო.

ლენინგრადელები, გუშინდელი იუნიორები ვ. პოლიაკოვი და ნ. ვასილიევი, რომლებიც უმესაჭო ორადგილიანით გამოდიოდნენ, 500-მეტრიან მონაკვეთზე II ადგილზე იყვნენ—ძალიან თამამად, აზარტულად მიიწევდნენ წინ ბრაზილიელები. მაგრამ დისტანცია ხომ 2000 მეტრია. და აი, ფინიშთან გამარჯვებული საბჭოთა სპორტსმენები რამდენიმე კორპუსით წინ აღმოჩნდნენ, ბრაზილიელები კი IV ადგილზე (პირველ სამ ადგილზე გასულებს ნახევარფინალების საგზურები ეძლეოდათ).

რეგატამ 10 ათასამდე მაყურებელს მოუყარა თავი, რომლებიც ობერშლიაისჰაიმის ხელოვნური არხის ორივე ნაპირზე იყვნენ განლაგებული. ბუნებრივია, ყველაზე მეტი ტაში გფრ-ის მესაჭიან ოთხადგილიანს ხვდა — თანამემამულეები მხურვალედ მიესალმებოდნენ მათს გამარჯვებას ოლიმპიადის პირველ სერიაში. მაგრამ კარგ გუნებაზე იყვნენ საბჭოთა სპორტსმენებიც (მთავარი მენიჩბე — მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორი, კიეველი ვ. სტერლიკი). II ადგილი, როგორც აღვნიშნეთ, მათ ნახევარფინალის საგზურს აძლევს.

ორადგილიანი მესაჭიანი ნავებით შეჯიბრებაში დამაჯერებლად გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა ნ. ივანოვმა და ვ. ემინოვმა (მესაჭე ი. ლორენცსონი). უმესაჭო ოთხადგილიანებით რბოლაში წარმატება საბჭოთა ნიჩბოსნებმა მოიპოვეს: მოსკოველთა კვარტეტმა (მთავარი მენიჩბე — ინჟინერ-მეტალურგი ა. ტკაჩუკი) რბოლას მთელი შესაძლებლობები არც კი მოანდომა.

მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ორადგილიანი წყვილმოსასმელიანით, მოსკოველი ა. ტიმოშინინი მიუნჰენში ლენინგრადელ გ. კორშიკოვთან ერთად გამოდის. მათი დებიუტიც გამარჯვებით აღინიშნა.

სანიჩბოსნო რეგატის პირველი დღის პროგრამა „ლინჯორებმა“ — რვაადგილიანებმა დაამთავრეს. საბჭოთა გუნდი კენჭისყრით მსოფლიო ჩემპიონებს — გდრ-ის წარმომადგენლებსა და ავსტრალიელებს შეხვდა. კოლომნის „ტრუდის“ ბაზაზე დაკომპლექტებულმა ეკიპაჟმა შესანიშნავად ჩაატარა სერია და ნახევარფინალის საგზურიც მიიღო.

თავის შეკავება უნდა იცოდე

ისინი ამთავრებენ სვლას ხასხასა მწვანე ბალახით დაფარულ იპოდრომზე — თეთრ პერანგსა და შავ ქუდში გამოწყობილი ჩამოსხმული მხედარი და ერთიანად დაკუნთული ულამაზესი ქურანი ცხენი. მაყურებლები აღტაცებით უკრავდნენ ტაშს თანამედროვე ხუთჭიდის საბჭოთა ოსტატს პ. ლედნიოვს. ტურნირის პირველ დღეს მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგს მიაღწია — 1060 ქულა დააგროვა. გრუნდერი, რომელიც მხედარს კენჭისყრით შეხვდა, საკმაოდ ჭირვეული ცხენი აღმოჩნდა. რისკის გაწევა არ შეიძლებოდა: სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. შმელიოვი და მსოფლიო ჩემპიონი ბ. ონიშჩენკო მაინცდამაინც კარგად ვერ გამოვიდნენ. ამიტომ ლედნიოვს ქულაც არ უნდა დაეკარგა. მან 1000-მეტრიანი ტრასა აკურატულად გაიარა, სახიფათო ადგილებზე ცხენს გასაქანს არ აძლევდა.

ონიშჩენკო, ჩვეულებრივ, კარგად ეგუება ცხენებს, მაგრამ ამჯერად დიდხანს ვერაფერი მოუხერხა ჭირვეულ გალანტს (სხვათა შორის, განსაკუთრებით იმ მხედრებს არ სწყალობდათ ბედი, რომლებიც ნაცრისფერი ცხენებით გამოდიოდნენ). მას 945 ქულა აქვს.

26 წლის შმელიოვი პირველად გამოდის საზღვარგარეთ და ფინიშთან 920 ქულა მიიტანა.

1000 ქულაზე მეტი დააგროვა 29 ხუთჭიდელმა, რაც სარეკორდო ციფრია ოლიმპიადებისთვის. 1100 ქულა მიიღო ერთბაშად ხუთმა კაცმა, მათ შორის, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, შვედმა ბ. ფერმმა.

გუნდურ შეჯიბრებაში ლიდერობენ შვეიცისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები — 3125 ქულა თითოეულს. საბჭოთა სპორტსმენები მათთან 200 ქულას აგებენ, უნგრელებთან კი 50-ს. შეიძლება ოთხი დღის მანძილზე დანაკარგი ავინაზღაუროთ.

ყველა მეტოქე უკან დარჩა

თითქოს მოხდენილი, ბრწყინვალედ დამუშავებული დედნიდან ზუსტ ასლს იღებენო, ისე ასრულებდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალები სავალდებულო ვარჯიშს ორძელზე. შეჯიბრება მათ მთავარ მეტოქეებთან — გდრ-ის სპორტსმენებთან ერთად დაიწყეს და ამიტომ განსაკუთრებული მოწდომებით იბრძოდნენ. 47,7 ქულა მათთვის დამსახურებული ჯილდო იყო.

წარუმატებლობა დაიწყო მეორე იარაღზე — ვერაგ დვირზე. დამნაშავის ღიმილით დატოვა ფიცარნაგი ა. კოშელმა — 8,95 ქულა. ლ. ბურდას სულ 0,05 ქულით მეტი ჰქონდა, ლ. ტურიშჩევამ მას ამდენივეთი გაუსწრო. დვირზე 9,2 ქულა მიიღო ე. საადიმაკი, სსრ კავშირის ჩემპიონმა ამ სასეიბაში. ო. კორბუტს 9,25 ქულა აქვს. მხოლოდ აუღელვებელმა თ. ლაზაკოვიჩმა დაიმსახურა დღის უმაღლესი შეფასება ამ იარაღზე — 9,4.

სამაგიეროდ, ამას მოჰყვა სპორტსმენ ქალთა საყვარელი თავისუფალი ვარჯიში და მწვრთნელი პ. ასტახოვა უკვე მშვიდად იყო, ღიმილით ადევნებდა თვალს თავის მოწაფეებს. მაყურებლები ტაშით შეხვდნენ ლაზაკოვიჩისა (9,7) და ტურიშჩევას (9,8) შეფასებებს.

ქალიშვილებმა უკვე ამაღლებული განწყობილებით დაიწყეს ხტომა. გერმანელ სპორტსმენებს კი გზაზე ისევ დვირი გადაეღობათ, სადაც მათ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებზე 0,1 ქულით ნაკლები მიიღეს — 45,8.

და აი, უზარმაზარ ელექტრტაბლოზე დარბაზის ჭერქვეშ აინთო ციფრები: სსრ კავშირი — 189,15, გდრ— 187,30 (დავსძენთ, რომ ჩეხოსლოვაკიის გუნდი გერმანელებს 5,15 ქულით ჩამორჩება).

პირად ჩათვლაში დაწინაურდა ლაზაკოვიჩი — 38,25. იგი 0,1 ქულით უსწრებს სასელგანთქმულ კ. იანცს (გდრ). ტურიშჩევა III ადგილზეა (38,05). შემდეგ მოდიან კორბუტი (37,9) და გდრ-ის წარმომადგენელი ე. ცუპოლი (37,8). პირველ ათეულში არიან ბურდა, საადი და კოშელიც (აგრეთვე, გდრ-ის კიდევ ორი სპორტსმენი). 28 აგვისტოს ნებისმიერი პროგრამის შემდეგ გამოვლინდება ოლიმპიადის ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში.

კვირას გვიან საღამოს ფიცარნაგზე გამოვიდნენ ჯერ საბჭოთა, ხოლო შემდეგ იაპონელი ტანმოვარჯიშე ვაქები. ქულათა საუკეთესო ჯამი (285,05) დააგროვეს იაპონელებმა. II ადგილზეა საბჭოთა გუნდი — 282,20 ქულა.

სხვა სახეობებში

ქენჰისსრით საბჭოთა მოკრივეებიდან პირველ დღეს მხოლოდ ბ. კუზნეცოვი (ქვემსუბუქი წონა) გამოდიოდა. მისი შეხვედრა ნიგერიელ ლაგოსთან წუთზე ცოტა მეტს გაგრძელდა: ელვისებური დარტყმის შემდეგ კუზნეცოვის მეტოქე იატაკზე აღმოჩნდა. ნოკაუტი!

ოლიმპიური ტურნირი გამარჯვებით დაიწყეს საბჭოთა წყალბურთელებმაც. მათ იტალიის გუნდს მოუგეს — 4:1 (0:1, 2:0, 2:0, 0:0). გამარჯვებულთაგან 2-2 ბურთი გაიტანეს დრევალმა და აკიმოვმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეკარე გულიაევის ბრწყინვალე თამაში.

სსრ კავშირის ნაკრებს ვერც სენეგალის კალათბურთელებმა გაუწიეს წინააღმდეგობა. საბჭოთა გუნდმა დაამარცხა ისინი ანგარიშით 94:52 (50:23).

ქვეჯგუფში სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მეტოქეების — იუგოსლავიისა და იტალიის კალათბურთელთა შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა — იუგოსლავიის ნაკრებმა — 85:78 (43:38). ამ დღეს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს სძლია— 66:35 (34:12).

პირველი სენსაცია მოიტანა ფეხბურთელთა ტურნირმა. ფავორიტად მიჩნეულმა ბრაზილიის ნაკრებმა ფანიის გუნდთან წააგო შეხვედრა — 2:3. ბრაზილიელთა კარში 2 ბურთი გაიტანა სიმონსენმა.

ადგილიდან სროლაში პირველი დღის შეჯიბრების შემდეგ დაწინაურდა იტალიელი მესტენდუერე ა. სკალონე — 75 ქულა. II-IV ადგილებს იყოფენ ა. ანდროშკინი (სსრ კავშირი), ბ. ჰოპე (გდრ) და დ. ალკონი (მექსიკა) — 74-74 ქულა.

ბ. ბუხოვცევი, ვ. კუკუშკინი, ა. სტაროდუბი, ი. ხრომოვი.

(საკადესის სპეც. კორ.).

მიუნჰენი, 27 აგვისტო.

ვარშაველი მასწავლებლის ოქრო

მიუნჰენი, 27 აგვისტო. ვარშაველმა მასწავლებელმა, 32 წლის ზიგმუნდ სმალცეკმა დღეს გათამაშებული ორი ოქროს მედლიდან მეორემ დაისაკუთრა ეს სანუკვარი ნადავლი — ყველას აჯობა უმჩატესი წონის (52 კგ-მდე) ძალოსანთა ტურნირში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჯილდო პირველია ძალოსნობის ისტორიაში, ვინაიდან ოლიმპიურ თამაშებში ამ წონითს კატეგორიას მიუნჰენში ჰქონდა დებიუტი.

სმალცეკმა სამჭიდში 337,5 კგ (112,5+100+125) დააგროვა.

ვერცხლის მედალი ხვდა უნგრელ ლ. სიუჩს — 330 კგ (107,5+95+127,5), ხოლო ბრინჯაოსი—ასევე უნგრელ ძალოსანს შ. ჰოლცრეიტერს — 327,5 კგ (112,5+92,5+122,5).

ოლიმპიადაზე პირველი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბირმელმა აუნგ გიმ, რომელმაც 105 კგ აიტაცა.

საბჭოთა სპორტსმენები ამ წონითს კატეგორიაში არ გამოსულან.









სურათებზე (მარცხნიდან): სსრ კავშირის დროშის აღმართვის საზეიმო ცერემონია ოლიმპიურ სოფელში; სპორტული დარბაზი, რომელიც განლაგებულია ოლიმპიურ პარკში და 11 ათას მაყურებელს იტევს, გათვალისწინებულია ტანვარჯიშსა და ხელბურთში შეჯიბრებებისთვის; კალათბურთელთა დარბაზი 5600 მაყურებელს იტევს; მსოფლიოში პირველი საწყლოსნო ხლალომის სტადიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი

საკმეური წვიმა ჩაერია

27 აგვისტოს მოსკოვის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე ჩატარდა საავიაციო ინსტიტუტისა და თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტთა მატჩი. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 6:3. არ წვიმდა ამ შეხვედრის ხხოლოდ პირველ ათ წუთს. ჩასათვლელი ქულებიც სწორედ ამ წუთებში დაგროვდა. მერე კოკისხრულად წვიმდა. მატჩის ბოლოსთვის თავისიანებსა და მეტოქის მოთამაშეებს მაყურებლები კი არა, რეგბისტებიც ვეღარ არჩევდნენ.

ექვსივე ქულა თბილისელთა გუნდს ვ. აბაშიძემ მოუტანა.

ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ გუნდების შეხვედრა გადაიდო.

კიევის გუნდების — „სპარტაკისა“ და „დინამოს“ მატჩში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა — 22:13.

ჩემპიონატში კვლავ ლიდერობენ მოსკოვის „ფილის“ რეგბისტები, რომელთაც 15 ქულა აქვთ.

საქართველოს მეხანძრეთა სწრაფი ესტაფეტა

ვილნიუსი, 28 აგვისტო. სახანძრო-გამოყენებითს სპორტში სამი საკავშირო რეკორდის მფლობელმა გ. კიკკომ თავის ტიტულებს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება დაუმატა. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის რაზმის ინსტრუქტორმა მოსკოვის მახლობელ ქალაქ ჟუკოვსკიდან ყველაზე სწრაფად — 17,2 წამში დაძლია დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ხოლი პირველობაში, რომელიც ვილნიუსის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა.

14,8 წამი დასჭირდა ხაბაროვსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტ ბ. ლოვეიკის, რათა საიერიშო კიბით „ალმოდებული“ შენობის მესამე სართულზე ასულიყო. მან ოქროს მედალი მოიპოვა ამ ვარჯიშში.

ორჭიდელთა შორის გაიმარჯვა სვერდლოვსკის სახანძრო-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელმა ვ. სუპრუნენკომ — 33 წამი.

გამოსაწვევი კიბით ასპარეზობაში საუკეთესონი იყვნენ მოსკოველები ა. პპიუსოფი და ი. მასიუტა, რომლებმაც საკავშირო რეკორდი გაიმეორეს — 13,9 წამი.

საქართველოს მეხანძრეთა გუნდმა თავი გამოიჩინა საბრძოლო ესტაფეტაში 4X100 მეტრზე, რომელშიც შედიოდა, აგრეთვე, სტადიონზე „ხანძრის“ ჩაქრობა — 1.09,5.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა.

ბრიზი მოსკოვი დარჩა

ლენინგრადი, 28 აგვისტო. აქ ჩატარდა წყალზე მოთხილამურეთა ტრადიციული მატჩი სსრ კავშირის პირველი მფრინავი კოსმონავტის ი. გაგარინის სახელობის პრიზზე, რომელიც კვლავ მოსკოვის სპორტსმენებმა მოიგეს.

სუზდალის ტბაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ვილნიუსის, სვერდლოვსკის, ნოვოსიბირსკისა და სხვა ქალაქების უძლიერესი სპორტსმენები. სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, დუბნელი გ. ლიტვინოვა პირველი იყო ტრამპლინიდან ხტომასა და სლალომში. მინსკელმა ინესა პოტესმა გაიმარჯვა ფიგურულ სრიალში.

ვაჟთა სლალომში ყველას აჯობა ქვეყნის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ა. რადუშინსკიმ. მინსკელმა ა. კადილინსკიმ ერთ-ერთი ფინალური ნახტომით საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა, როცა 40 მეტრზე გადახტა და 1,4 მეტრით აჯობა რადუშინსკის ძველ მიღწევას.

მრავალჭიდში უძლიერესნი იყვნენ მოსკოველი ტ. როჟკოვა და რადუშინსკი.

დიდი სიჩქარის ოსტატები

ტალინი, 27 აგვისტო (საკუთარი კორ. მ. იშოვი). 1600 კგ სმ-ზე მეტი მოცულობისძრავიანი ავტომანქანებით რბოლაში საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე ფინიშთან პირველი მივიდა ტალინელი ჰ. საარმი (საშუალო სიჩქარე საათში 127,6 კმ), მაგრამ მას მხოლოდ პრინჯოს მედალი ჩაბა. ოქრო მიიღო მოსკოველმა ი. ტერენტიევმა, რომელმაც ქულათა საუკეთესო ჯამი დააგროვა სამივე ეტაპზე — მინსკში, რიგაში და ტალინის წრაულ ტრასაზე, სადაც II ადგილი დაიკავა. ვერცხლის მედალი ხვდა მის თანაქალაქელ ნ. კაზაკოვს.

1 300 კგ სმ-ზე მეტი მოცულობისძრავიანი მანქანებით შეჯიბრებაში კვლავ არ ჰყავდა ბადალი ესტონელ მ. ლაივს, რომელმაც მეხუთედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი. II ადგილზეა უკრაინის წარმომადგენელი ვ. პოვოროვი, III — ბელორუსიელი ვ. ლუკაშევიჩი.

1300 კგ სმ-მდე მანქანებით რბოლაში ეტაპზე გაიმარჯვა ვ. ბარკოვსკიმ, რომელმაც საკავშირო პირველობებში მრავალგზის გამარჯვებული, ესტონელი ე. გრიფელი ჩამოიტოვა. მაგრამ ყველა ეტაპის ქულათა ჯამით მოსკოველი პრიზიორთა სამეულშიც კი ვერ მოხვდა. ჩემპიონობა მოიპოვა გრიფელმა. ვერცხლი ხვდა ი. რეინტამს, ბრინჯაო — ჰ. კარს (ორივე — ტალინი).

ყველაზე პატარა, მოტოციკლისძრავიანი მანქანებით 350 კგ სმ-მდე საუკეთესო იყო ლატვიელი ვ. სალმი, II ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ი. შიბაევმა, III — ესტონელმა ვ. უნტერმა.

უწინდელი დამსახურება დაივიწყეს

ფრანგული ფეხბურთის ძირითადი მიღწევები გამოჩენილი მწვრთნელის ა. ბატოის სახელთანაა დაკავშირებული. სწორედ მის დროს დაიკავა საფრანგეთის ნაკრებმა III ადგილი მსოფლიო ჩემპიონატში 1958 წელს, „სტად დე რეიმსი“ კი ორჯერ გავიდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში. სწორედ ბატიოს მოწაფეები იყვნენ კოპა, ფონტენი, ვენსანი, პიანტონი, ჯონკე, კოლონა, მარსელი, პენვერნი. მას შემდეგ, რაც „სტად დე რეიმსის“ მზე ჩაესვენა, ბატიომ საუკეთესო ანსამბლი შექმნა „სენტ-ეტიენში“ და ოთხჯერ მოუტანა მას საფრანგეთის ჩემპიონობა. ეს გაგრძელდა მანამ, სანამ „სენტ-ეტიენი“ თავისი უცხოელი ვარსკვლავებით (სკობლარი, კეიტა, მაგნუსონი) არ დაჩრდილა მდიდარმა მარსელის „ოლიმპიკმა“ („სენტ-ეტიენს“ უცხოელები არა ჰყავს).

ბატიოს უწინდელი დამსახურება დაივიწყეს და „სენტ-ეტიენის“ ყოფილი კაპიტანთი ერბენინი შეცვალეს. ბატიო მაინც არ აპირებს ფარ-ხმალის დაყრას და აცხადებს, რომ კიდევ შექმნის „დიდ გუნდს“.

4 კგ დაიკლო

სანამ „კუინს პარკ რეინჯერსში“ ვთამაშობდი, ეტყობა, წარმოდგენაც არ მქონდა როგორია ნამდვილი წვრთნა, — თქვა ინგლისის ნაკრების თავდამსხმელმა მარშმა, რომელიც „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა.

ამ დასკვნამდე მარში მაშინ მივიდა, როცა ახალ კლუბში პირველივე ვარჯიშზე 4 კგ დაიკლო.

ისლანდია ფეხბურთის ქვეყანაა

ვატარა ისლანდია, სადაც სულ 220 ათასი მცხოვრებია, საფეხბურთო ქვეყანაა. ეს თამაში აქ დიდი პოპულარობით სარგებლობს. საკმარისია ითქვას, რომ ისლანდიაში 12 ათასი რეგისტრირებული ფეხბურთელია.

ისლანდიელები რეგულარულად მონაწილეობენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში, ამას წინათ კი აქ გადაწყვიტეს სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ეროვნულ ნაკრებს. მის მწვრთნელად მიწვეულია შოტლანდიელი სპეციალისტი მაკდაუელი.

ჩოგბურთის ამბები

ნიუ-იორკი, 28 აგვისტო. მოსკოველი ო. მოროზოვა ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ჩემპიონი გახდა. ღია პირველობის ფინალში დაამარცხა ალმა-ათელი მ. კროშინა — 6 2, 6.8, 7:5. გაერთიანებული ძალებით ამ ორმა სპორტსმენმა ქალთა წყვილების ფინალში ჯ. ჰოგანსა და კეროლ გრეგნერს (ორივე — აშშ) სძლია — 6.8, 6:2, 6:3.

ვაჟთა ერთეულების თანრიგში საუკეთესო იყო რუმინელი ი. ნასტასე, წყვილთა თანრიგში — კორტების მასპინძლები ჯ. გონსალესი და კლარკ გრეგნერი.

ბატონიკა, 28 აგვისტო. საბჭოთა ჩოგბურთელმა ქალებმა ტ. პარმასმა და ლ. ზინკევიჩმა პოლონეთის ჩემპიონობა მოიპოვეს. ღია პირველობის ფინალში დაამარცხეს ინტერნაციონალური დუეტი — სელი (უნგრეთი) და ვოლიაკოვა (ჩეხოსლოვაკია).

შერეულ თანრიგში საუკეთესონი იყვნენ პარმასი და თ. ლეიუსი, რომლებმაც გაიმარჯვეს პოლონელ წყვილთან: ვეჩორეკთან და ნოსსალთან — 6.4, 6.2.

ერთეულთა თანრიგებში საბჭოთა ჩოგბურთელებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. პარმასმა დაამარცხა �ეჩორეკი, ლეიუსმა — შვეიკი (ჩეხოსლოვაკია). ჩემპიონები გახდნენ შეჯიბრების მასპინძლები კრალი და გონშორეკი.

ვაჟთა წყვილების თანრიგში გაიმარჯვეს პოლონელებმა ნოვიცკიმ და ნეძვეცკიმ

ბ. დ. არეშიძე

მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის ვეტერანი, ძველი პლეადის სპორტსმენთა წარმომადგენელი, თბილისის „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ყოფილი მოთამაშე, სპორტის ოსტატი გიორგი (ორა) დიომიდეს ძე არეშიძე.

ვინც დიდი ხანია თვალს ადევნებს ქართულ ფეხბურთს, ჯერ კიდევ ომამდელი წლებიდან ემახსოვრება ბათუმის „დინამოს“ ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი გიორგი არეშიძე. იგი 1920 წელს დაიბადა ირკუტსკში, შემდეგ კი მისი ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში. აქ ეზიარა გ. არეშიძე სპორტს: თამაშობდა ფრანბურთს, კალათბურთს, წყალბურთს, მაგრამ მისი ნამდვილი გატაცება ფეხბურთი იყო. ჯერ კიდევ საშუალო სკოლის დამთავრებამდე გამოდიოდა იგი უფროსებთან ერთად ბათუმის „დინამოში“, შემდეგ, 1939 წელს, მიიწვიეს მინსკის „დინამოში“, ხოლო 1941 წელს კვლავ დაუბრუნდა ბათუმს. აქ თამაშობდა ადგილობრივ „დინამოში“ და მუშაობდა აჭარის სსრ უშიშროების ორგანოებში.

1945 წელს გ. არეშიძე საბუშაოდ გადმოვიდა თბილისში და რესპუბლიკის საუკეთესო გუნდის — თბილისის „დინამოს“ წევრი გახდა. იგი თამაშობდა გამოჩენილი ოსტატების ბ. პაიკაძის, ვ. ბერძენიშვილის, გ. ჯეჯელავას, ა. ღოღობერიძის, ვ. ანთაძის, ა. კიკნაძის, ს. შუდრას, გ. გაგუას, ი. სარჭველაძისა და სხვათა გვერდით, წარმატებით იცავდა საქართველოს სპორტულ ღირსებას. იმავე წელს საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად ახლდა გუნდს რუმინეთში.

1950 წელს გ. არეშიძე გადავიდა თბილისის „სპარტაკში“ და ამ ახალგაზრდული, მეგობრული კოლექტივის წევრი გახდა.

1945 წელს გ. არეშიძე სსრ კავშირის კომუნისტურ პარტიაში შევიდა, 1957 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და 1958 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე აქვე მუშაობდა სტამბის დირექტორად.

ინსტიტუტში მუშაობის წლებში გ. არეშიძეს არ შეუწყვეტია სპორტული მოღვაწეობა, ათეული წლების მანძილზე იყო პროფესორ-მასწავლებელ ფრენბურთელთა გუნდის წევრი, რომელმაც სამჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ამას გარდა, იგი აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტის საზოგადოებრივ საქმიანობაში, წლების მანძილზე იყო რეჭტორატთან არსებული პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი, უნარიანი, მუყაითი მუშაობისთვის მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

გიორგი არეშიძე იყო თავმდაბალი, კეთილსინდისიერი მოქალაქე, კარგი მეგობარი, გულისხმიერი ადამიანი.

ამხანაგების ჯგუფი.



გარდაიცვალა ფრენსის ჩიჩესტერი

ინგლისში 75 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ინგლისელი მეზღვაური ფრენსის ჩიჩესტერი. ამ ღვაწლმოსილმა სპორტსმენმა უკვე საკმაოდ ხანდაზმულ ასაკში დედამიწის გარშემო ეულად იმოგზაურა აფრიანი ნავით. სწორედ ამ საოცარმა ლაშქრობამ დიდად გაუთქვა სახელი ჩიჩესტერს სპორტულ სამყაროში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩვენი ქალაქი ყველა ოჯახში

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 6, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 6ბ1008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-68-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99 81-71, 93 97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93 97-54, მემანქანეთა ბიურო — 93 97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93 93-81, კორექტორები — 93 97-49.

მოკლედ

● **ბელგრადი.** იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა ვ. ბოშკოვმა (რომელიც გუნდის ხელმძღვანელობისთვის გასამრჯელოს არ იღებს) კიდევ 2 წლით მოაწერა ხელი კონტრაქტს ნოვი-სადის „ვოივოდინასთან“.

● **ლონდონი.** „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ შესთავაზა ბესტი, რომელიც, როგორც ცნობილია, ამას წინათ ფეხბურთს დაუბრუნდა. ლონდონელები თანახმა არიან ბესტში 250 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ.

● **ბრიუსელი.** ბელგიის წამყვანი კლუბის „ანდერლეხტის“ დირექტორატმა გამოაცხადა, რომ მონტევიდეოს „ნასიონალიდას“ აქ გადმოდის ურუგვაის ნაკრების ცენტრალური მცველი ბონიფაჩინო.

● **ნიურნბერგი.** გამოჩენილი იუგოსლავიელი მწვრთნელი ჩაიკოვსკი, რომელმაც თავის დროზე „ბაიერნში“ სამი ჩინებული ოსტატი (ბაიერი, ბეკენბაუერი და მიულერი) აღზარდა, ისევ გფრ-ში იმუშავებს. მან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „ფკ ნიურნბერგთან“.

● **ბოგოტა.** მორიგი მსოფლიო ჩემპიონატისთვის კოლუმბიის ნაკრებს მოამზადებს ცნობილი იუგოსლავიელი სპეციალისტი ვესელინოვიჩი, რომელიც კარგა ხანია ამ ქვეყანაში მუშაობს.

• КОРАНА • ФУТБОЛ • ФЕХБУРТИ • LABДARUGAJ •